

TiefGrund TB

გამსხნელის შემცველი სპეციალური საგრუნტავი საშუალება გარე და შიდა სამუშაოებისათვის.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

სპეციალური საგრუნტავი საშუალება შიდა და გარე სამუშაოებისათვის. გამრობის შემდეგ უფერო.
სპეციალურად გამოიყენება თაბაშირის, ძველი ბათქაშების და ისეთი ზედაპირების დასაგრუნტად და გასამაგრებლად, რომლებიდანაც მოირეცხა, ან მექანიკური მეთოდით მოიხსნა ძველი საღებავი, ან ისეთის, რომელზეც არის ნარჩენი ძველი ქაღალდი ან წებო. არ გამოიყენება პოლისტიროლის (პენოპლასტის) შემცველ თბოიზოლაციის კომპოზიციურ სისტემებზე და ბათქაშებზე.
არ გამოიყენოთ შენობებში, სადაც ინახება, ან ინარმოება საკვები.

თვისებები

ამყარებს ზედაპირს, ღრმად შეღწევადი, დიფუზიურობის და შთანთქმა-შეწოვის ეფექტით, ტუტე მედეგი, გამრობის შემდეგ უფერული.

მასალის შემკვრელი

ხელოვნური ფისის ხსნარი

შეფუთვა

1 ლ, 5 ლ, 10 ლ, 25 ლ.

შენახვის პირობები

შენახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლოებით 0,8 გ/სმ³

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, განმაცალკეველი ნივთიერებებისგან (ზეთები, ცხიმები) თავისუფალი, მშრალი. თანახმად სტანდარტისა VOB, ნაწილი C, DIN EN 18 363, პარაგრაფი 3.

ზედაპირის მომზადება

შესაფერისი ზედაპირების და მათი წინასწარი მომზადების შესახებ იხილეთ ჩვენი ტექნიკური ინფორმაცია Nr. 650 - "ზედაპირები და მათი წინასწარი მომზადება".

პროდუქტის გათხელება

აუცილებლობის შემთხვევაში გათხელდეს მხოლოდ უაიტ-სპირიტით.

დაფარვის თანმიმდევრობა

სტანდარტულ შემთხვევაში გაუზავებელი სახით.
ფხვიერ, ფოროვან ბათქაშზე / ზედაპირზე წაესვას ორი პირი გრუნტი, „სველი-სველზე“ პრინციპით.
დაბალი შეწოვის მქონე ზედაპირზე წასასმელად გაზავეთ მაქსიმუმ 20% უაიტ-სპირიტით. გრუნტმა არ უნდა წარმოქმნას პრიალა აკვისებრი ზედაპირი.

ხარჯი

დაახლ. 150-300 მლ/მ², დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურაზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.



ტექნიკური ინფორმაცია N. 651

გამოყენების პირობები

მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:

Caparol-Tiefgrund TB-ს გამოყენება შესაძლებელია ყინვის დროსაც, თუ ზედაპირი მშრალია და თავისუფალია ყინულისაგან.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოები

Caparol-Tiefgrund TB-ი შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, სამღებრო გორგოლაჭით ან უჰაერო (Airless) მიფრქვევით. არ გამოიყენება ჰაერის კომპრესორიანი მიმფრქვევი.

უჰაერო მიფრქვევა (Airless):

ნახვრეტის დიამეტრი: 0.74 მმ
წნევა მიფრქვევისას: 50 ბარი
მიფრქვევის კუთხე: 60 გრადუსი

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს უაიტ-სპირიტით.

შენიშვნა

ყოველთვის გაზარდეთ შრობის დრო, როდესაც იყენებთ მგრძობიარე გარემოში. Caparol Tiefgrund TB-ს ინტერიერში გამოყენებისას წარმოიშობა გამხსნელის ტიპური სუნი, ამიტომ მუშაობის პროცესში საჭიროა კარგი განიავება. მგრძობიარე ადგილებში გამოიყენეთ არაარომატული პროდუქტი AmphiSilan-PutzFestiger-ი (იხ. ტექნიკური ინფორმაცია #670).

სხვა პროდუქტებთან თავსებადობა:

არ შეურიოთ Caparol-Tiefgrund TB სხვა სამღებრო მასალას.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები

სითხე და ორთქლი აალებადია. სასუნთქ ორგანოში შეღწევამ ან გადაყლაპვამ შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი. აორთქლილმა პროდუქტმა შეიძლება გამოიწვიოს გონების დაკარგვა და უკონტროლო ძილი. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი მავნე ზემოქმედება. მოარიდეთ ბავშვებს. მოარიდეთ სიცხეს. არ მოწიოთ მასთან ახლოს. არ შეისუნთქოთ მიმფრქვევით დატანის დროს წარმოქმნილი "ღრუბელი". მოარიდეთ თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოიყენეთ მხოლოდ საკმარისი ვენტილაციის პირობებში. გადაყლვის შემთხვევაში პირი გამოიბანეთ, არ გამოიწვიოთ ღებინება.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

აქროლადი ორგანული
შენაერთების ზღვრული
კონცენტრაცია ევროკავშირის
სტანდარტის შესაბამისად
(VOC)

პროდუქტის კატეგორია (A/h): 750 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 750 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი
საღებავები და ემალები

M-GF03

შემადგენლობა

პოლიაკრილატის ფისი, ალიფატები, არომატიზატორები, გლიკოლის ეთერები.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge